ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5279954

ნომერი: AR1800086

თარიღი : 22.01.2021

გაცემის თარიღი : 08.02.2021

გაცნობის თარიღი : 11.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვახტანგ ნინუა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო გიორგაია პ/ნ 37001058879
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 22 იანვრის №AR1800086 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის №5258893 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2021 წლის 26 იანვრის №5264147 ბრძანებით და სამსახურის 2021 წლის 02 თებერვლის №5273053 გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, კოლონები, სავენტილაციო შახტები და ფართების გამმიჯნავი კედლები ისევ შეყვანილია ფართობებში. ასევე, 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს ღია ავტოსადგომები, რომლის ფართობებიც შეყვანილია შიდა ავტოსადგომების საერთო ფართობში, განგიმარტავთ, რომ ღია ავტოსადგომები არ შედის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, შესაბამისად ავტოსადგომისა და საერთო ფართობში. თუმცა, შესაძლებელია მისი ცალკე ფართობად დაფიქსირება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის №5258893 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, მათ შორის ღია ავტოსადგომის ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად, დამუშავებული სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის №5258893 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), რომლებზეც ფართობები დატანილი იქნება კოლონების, სავენტილაციო შახტების და ფართების გამმიჯნავი კედლების გამოკლებით.
ვინაიდან, სამსახურის 2021 წლის 02 თებერვლის №5273053 გადაწყვეტილებას გაეცანით 2021 წლის 02 თებერვალს სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 26 (ოცდაექვსი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2021 წლის 22 იანვრის №AR1800086 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.